წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

შაბათი 6 მაისი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:

წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.

ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა [illegible] [illegible] სან გამოცხადებისა, ნაშუადღევს 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ს. მიქელაძის ს.

№ 22 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 22

ქუთაისის საურთიერთო ნდობის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოების გამგეობა აცნობებს ბბ. წევრებს, რომ წევთთა წლიური საზოგადო კრება, რომელიც დანიშნული იყო 30 აპრილს 1917 წ. არ შესდგა, ამის გამო გამგეობა აცხადებს, თანახმად წესდმბის 16 მუხლისა, რომ მეორე კრება დანიშნულია 7 მაისს 1917 წ. დილის 10 საათზე გამგეობის სადგომში, თფილისის ქუჩაზე სამსონ ბოკერიას სახლში და ჩაითვლება კანონიერათ მიუხედავათ გამოცხადებულ წევრების რაოდენობისა, გაირჩევა შემდეგი კითხვები:

1. 1916 წლ. წლიური ანგარიში.
2. 1917 წლის ხარჯთა აღრიცხვა.
3. გამგეობის წევრის და მისი კანდიდატის არჩევა.
4. ზედამხედველი კომიტეტის ერთი წევრის და მისი კანდიდატის არჩევა.
5. სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათი კანდიდატების არჩევა.

ელექტრო „რ ა დ ი უ მ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 4 მაისიდან ფრიად საყურადღებო პროგრამა
1-ლი სერია 1-ლი სერია

ღამის ქალიშვილი (ავაზაკობის ქარიშხალში)

დრამა ბოროტმოქმედთა ცხოვრებიდან 5 ნაწილად ცნობილ მსახიობის ემილის სანნომიი მონაწილეობით. **კონცერტი ვერ გამოდგა კარგი!** სახუმარო **ანონსი:** ორშაბათიდან, 8 მაისიდან **ავაზაკობის ქარიშხალში** მე-2 სერია ემილიო სანნომის მონაწ.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 4 მაისიდან სენსაციური პროგრამა

სიკვდილის ამბორი

ავანტიურისტ ქალის გმირობა. ფრიდა ბორნისა და სხვა საუკეთესო მსახიობთა მონაწ. 1. მახე დაგებულია; 2. სიყვარული და ცბიერება; 3. მთავვრის ჰიპნოზით შეპყრობილი. 4. უსაზღვრო გატაცება. **ქალის სამოსელში** სახუმარო ფარსი **ანონსი:** ორშაბათიდან, 8 მაისიდან საუცხოვო პროგრამა **სიკვდილის ცეკვა** ფსიხოლ. დრამა 5 ნაწილად ბ-ნ მოზჟუხინის მონაწ.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ვისაც სურს სამუდამოთ განთავისუფლდეს ქარებისაგან (რევმატიზმისაგან) და ყოველგვარ კანის ავათმყოფობისაგან ურჩევთ მიაშუროს ძმ. წულუკიძეების

გოგირდის აბანოს

ს· ბუგეულს რაჭის მაზრაშიდ, რომლის მუშაობა,

განახლდა

პირველ აპრილიდან. აბანოსთან არის სუფთა ოთახები ავათმყოფებისათვის და სუფთა თეთრი ქვის ვანები; იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

აბანოს გამგე **ივანე სოხაძე.**

ქუთაისის საგუბერნიო

სასურსათო კომიტეტი ამით

აცხადებს, რომ კვირას, 7 მაისს, 12 საათზემუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქ. ქუთაისის სარაიონო სასურსათო კომიტეტების წევრთა საერთო კრება ქალაქის სასურსათო კომიტეტის წევრთა ასარჩევათ. 2—1

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვების.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

შაბათს, 6 და კვირას, 7 მაისს გაიმართება დიდი სადღესასწაულო წარმოდგენები გამოჩენილ მსახიობთა მონაწ. დიდი მრავალ ფეროვანი პროგრამა. გასტროლები მსოფლიო საკვირველების 10 წლის ქალის სხვისი აზრების გამომცნობ ქ-ნ

ლ ი უ ც ი ა ს ი,

რომელსაც დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი; მისი ფენომენალურ ნიჭით მთელი ქვეყანაა დაინტერესებული.

4 ე მ მ ა კ ა დ

წოდებული მფრინავ ადამიანების უკანასკნელი გასტროლები. დღეს ბ-ნ აფანასიევის მიერ გაწვრთნილ ცხენების დივერტისმენტია. ამას გარდა მონაწილეობენ მოჯირითენი გიმნასტები, ეკვილიბრისტები, ექსცენტრიკები და ოხუნჯები.

ბ ა ვ შ ვ ე ბ ო!

წარმოდგენა თქვენთვის გაიმართება კვირას, დილის 1 საათზე. ფასები 25 კაპ. 150-მდე. სადამოს წარმოდგენების სრული პროგრამა ოხუნჯთა შეჯიბრება!

დ ღ ე ს:

წერილები:

მედგარი—რუსეთის რევოლუციის ბედი.
Ser აჭარა.
მხედარი—ქართული ტიპიკონი.

ცნობები:

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ზავის გარშემო. გლეხობა. ეროვნული კითხვა. ქუთაისის ქალაქის სამკითხველო. მოწერილი ამბები. რუსეთი. უცხოეთი. ქრონიკა.

ქ. ქუთაისის მცხოვრებთა

═══ საყურადღებოთ.

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ამიერიდან მწვანე ბაზარში ყოფილ კურჩაბაშევის შენობაში იქნება გახსნილი ქალაქის საყასბო, სადაც როგორც მსხვილი ოთხფეხის აგრეთვე ხბოს ხორცი გაიყიდება დაწესებულ ნიხრის მიხედვით 50 კ. გირვანქა.

რუსეთის რევოლუციის ბედი.

რევოლუციის ზრდა და მიმდინარეობა ისე გართულდა, რომ ყოველი მოქალაქე გაფაციცებით ელის ახალს რევოლუციურ გარდატეხვას (переломъ). მართლაც იმ მიმდინარეობას, რომელიც რევოლუციას მისცეს, შეუძლია საფრთხეში ჩააგდოს თვით რევოლუცია. უკანასკნელი ეროვნულ ე. ი. რუსულ ისტორიულ და სახელმწიფოებრივ ღრმა მიზეზებიდგან წარმოიშვა. იმ საზოგადოებრივსა /და ეკონომიურ განვითარებას, რომელიც განიცადა რუსეთმა იაპონიის ომის შემდეგ, განცვიფრებაში მოჰყავდა ევროპა და მეტადრე გერმანეთი, რომელიც არა ერთხელ საქვეყნოთ აცხადებდა თვისი პუბლიცისტების პირით, რომ რუსეთი თავისი სწრაფი განვითარებით იაპონიის ომის შემდეგ საგონებელში გვაგდებს ჩვენ და ჩვენს მომრეწავ კაპიტალისტებსაო. უკანასკნელათ ატეხილმა ომმა დააჩქარა საზოგადოებრივ ძალთა ამოძრავება და მათი თვითმოქმედების განვითარება, მათი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის სასარგებლო დარაზმვა. ეს ახალი ძალა იმ თავითვე ერთგვარ კოლიზიაში მოხვდა რუსეთის თვითმპყრობელობის მთავრობასთან, რომელიც ასე უნდოთ ეკიდებოდა რუსეთის საზოგადოებრივი აზრის პრაქტიკულად ამოქმედებას. ამ ორ ძალთა დაპირისპირებამ რუსეთი ამ დიდ რევოლუციამდე მიიყვანა. რუსეთის თვითმპყრობელობა წაილეკა რუსეთის გათვითცნობიერებულ ძალთა ამოძრავებით. პირველი და მთავარი ელემენტი, მამოძრავებელი მოტივი სარევოლუციო მოქმედებისა, იყო უცილობელათ პატრიოტიული მოტივი: აშკარა ღალატი სამეფო სახლისა ქვეყნისადმი აუტანელი შეიქნა თვით სახელმწიფო მართველობის ე. ი. საბჭოსა და სათათბიროსათვის. ძველი მთავრობის საზიანო არსებობა, მისი მოქმედების მოღალატობრივი მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის იმდენათ ცხადი შეიქნა ყველასათვის, რომ ნიკოლოზის გადაგდება, მისი დინასტიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან, შეიქნა ერთად ერთი საშუალება სამშობლოს ხსნისათვის. ეს შეიგნო იმ თავითვე თვით ჯარმაც. მეორე ელემენტი რევოლუციისა არის მისი წმიდა პოლიტიკური ხასიათი. არასოდეს მთელს ისტორიაში რუსეთის მუშათა კლასი ისე კმაყოფილი არ ყოფილა თვისი ეკონომიური მდგომარეობით (ხელფასით), არას დროს რუსეთის გლეხის ოჯახი ისე უზრუნველყოფილი არ ყოფილა ჭირნახულის კარგი ფასებით, როგორც ეს იყო ამ ომიანობის დროს. რასაკვირველია, რუსეთის ბურჟუაზიასაც მიეცა ომიანობით ახალ-ახალი საშუალებანი თვისი კაპიტალის დატრიალებისა და დიდი მოგების დაგროვებისათვის, ეს სამი მთავარი სოციალური კატეგორია რუსეთისა პოლიტიკურათ იტანჯებოდა თუმცა ეკონომიური გამოსვლებისათვის არც ერთს არავითარი პირდაპირი საბაბი არ ჰქონდა. ცხადია, როდესაც მუშათა კლასი, გლეხობა და ბურჟუაზია რევოლუციის ფერხულში ებმოდა, მათი თავდაპირველი, ერთად ერთი მიზანი იყო რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების რადიკალურად გარდაქმნა, მესამე მთავარი დამახასიათებელი თვისება ამ რევოლუციისა ის არის, რომ იგი წმიდა ადგილობრივია რუსეთის სახელმწიფოსათვის, გამოწვეული რუსეთის სახელმწიფოებრივი ისტორიულ კულტურულ ვითარებით. არც ერთ ევროპიელ სახელმწიფოში არ არსებობს ისეთი დესპოტიური თვითმპყრობელობა, როგორიც იყო რუსეთში. არსად ქვეშევრდომი გზოემ პოლიტიკურად უფლება აყრილი არ იყო, როგორც რუსეთში. რუსეთის რევოლუცია, არ არის გამოწვეული ყველა სახელმწიფოთა, საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებათა გამო; იგი მხოლოთ რუსული პოლიტიკური ცხოვრების განვითარების შედეგია. რასაკვირველია, რუსეთის რევოლუცია უშედეგოთ არ დარჩება ევროპისათვის, მაგრამ მისი გავლენა ევროპის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე განისაზღვრება არა მარტო მისი წარმოშობით, არამედ, უმთავრესად, თვისი შედეგებით, იმ ნორმებისადა მიხედვით, რომელთაც ეს რევოლუცია საბოლოოდ განამტკიცებს თვით რუსეთში, თუნდაც დამფუძნებელი კრების სახით. თანამედროვე რევოლუციის ამ სამ მთავარ ელემენტს თუ გავითვალისწინებთ, ცხადი იქნება ჩვენთვის, თუ რა გზით უნდა იაროს, რა მიმართულება უნდა მიიღოს რევოლუციამ, რომ იგი საბოლოო გამარჯვებით დაგვირგვინდეს. ცხადია, თუ რევოლუციაში შეიჭრა ისეთი ელემენტი, რომელიც მის ძირითად ხასიათს ეწინააღმდეგება, ეს მხოლოთ ხელს შეუშლის მის გამარჯვებას. არიან მოვლენანი, რომელნიც ამ მხრივ ფრიად დამაფიქრებელია. პირველი და უმთავრესი შეცდომაა სოციალური ელემენტის შეტანა თანამედროვე რევოლუციაში მიწის განსაზოგადოებრივების სახით. ეს მოტივი მხოლოდ ზიანს მოუტანს თვით რევოლუციას ერთი მიტომ, რომ საუკეთესო შემთხვევაში მიწის მესაკუთრეთა წრეს სრულიად ჩამოაშორებს რევოლუციას, თუ არ გახდის მას აშკარა მოწინააღმდეგეთ. მეორე ის, რომ მიწის განსაზოგადობრივება ემუქრება თვით კაპიტალისტებს. მიწას უმთავრესად დაგირავებულია ან ბანკებში ან კერძო კაპიტალისტთა ხელში. მიწის ბედთან დაკავშირებულია აგრეთვე სააქციონერო დამზღვევი საზოგადოებანი სასოფლო-სამეურნეო შენობათა და საწარმოო იარაღთა და სხვ. ამგვართა დაზღვევით. თუ მიწის სოციალიზაცია რევოლუციის მორიგ საკითხად გადიქცა, მისი განხორციელება ნაწილობით მაინც გამოიწვევს მოძრავი კაპიტალის ფაქტიურ განაწილებას ე. ი. დაინტერესებულ ბანკებისა, სააქციონერო საზოგადოებათა და მრავალ კერძო კაპიტალისტთა კრახს. მიწის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითი გზით, მაშასადამე, რევოლუციაში სოციალური ელემენტის სერიოზულათ შეტანა არა თუ ჩამოაშორებს, მტრულათ გადაკიდებს რევოლუციას მთელს ბურჟუაზიას, მესაკუთრეთა წრეს მთელი რუსეთისას. ამით რევოლუცია საფრთხეში ჩავარდება. ეხლა შევეხოთ კიდევ შემდეგ შეცდომას. ზოგს ჰგონია, რომ რუსეთის რევოლუციამ აგრეთვე რევოლუციები უნდა გამოიწვიოს სხვა ევროპიულ ქვეყნებშიც. თუ ასეთს მოვლენას ადგილი ექნება ბუნებრივათ, მაშინ ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებათა მიერ იქნება გამოწვეული რევოლუცია რომელიმე ევროპიულ სახელმწიფოში და რუსეთის რევოლუცია მისთვის მხოლოდ წამაქეზებელი საბაბის ხასიათს მიიღებს. მაგრამ თუ რუსეთის რევოლუციის მესვეურნი რევოლუციის რუსეთში დაუმთავრებლათ, პრაქტიკულათ ნაბიჯებს გადადგმენ ევროპის სახელმწიფოების ქვეშევრდომთა თავიანთ მთავრობათა საწინააღმდეგოთ წაქეზებით, თუ ამას კიდევ სოციალური რევოლუციის ამწეწავი პერსპექტივები დაურთო, მაშინ ჩვენი რევოლუცია დაჰკარგავს თანაგრძნობას, როგორც ევროპის სახელმწიფოთა, ისე საზოგადოებათა და ხალხთა თვალში. ამით, რასაკვირველია, მხოლოთ რევოლუციის მტრები ისარგებლებენ რევოლუციის საწინააღმდეგოთ. ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა, რევოლუციურად განწყობილ ყველა ძალების შეჯგუფება რუსეთის პოლიტიკურათ სავსებით გარდასაქმნელად. რევოლუციიდან უნდა განიდევნოს როგორც აგრესიული ისე სოციალური ელემენტი წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციის ბედს განსაცდელს განუმზადებენ.

მედგარი.

ა ჭ ა რ ა.

გაზ. „საქართველო"-ს საკუთარი კორესპონდენტი აჭარიდან მეტად სამწუხარო და დამაღონებელ ამბავს აუწყებს: იქ გაჩენილან უცნობი პირები, რომელნიც მაჰმადიან ქართველებს და მთავრობას ერთმანეთს ჰკიდებენ. აჭარის სოფლებში დათარეშობენ უპასუხისმგებლო ადამიანები და გულუბრყვილო ხალხს ეუბნებიან, ოსმალოს ლაშქარი იმარჯვებს, მზად იყავით. ამავ დროს უსირცხვილონი მთავრობის კომიტეტებს არწმუნებენ, აჭარლები რუსის მთავრობის წინააღმდეგ ირაზმებიანო.

ასეთ გაუგებრობას შეუძლიან აჭარელთათვის დიდი უბედურების მიყენება. ვინ ავრცელებს ამ მომწამლავ პროვოკაციას? აი, კითხვა, რომელიც თხოულობს ღრმა ჩაფიქრებას. ძველი რეჟიმის მომხრეთ, რომ მივაწეროთ პროვოკაციის წარმოება, მაშინ ეჭვი იბადება, რაღა ბედკრული აჭარა ამოიღეს ძველი რეჟიმის მოციქულებმა მიზანში? ეს პროვოკაცია უფრო ქართველ ხალხის ადგილობრივ მტერთაგან უნდა ხდებოდეს. აჭარამ წამება ბევრი გამოიარა. ამ მსოფლიო ქარცეცხლში ცუდ მოამაგეთა წყალობით მან ზედიზედ განიცადა დარბევა. ეს არ უნდა განმეორდეს დღეს რევოლუციურ დროში. საჭიროა კაცთჭამიაობისთვის საზღვარის დადება. აჭარა განუშორებელი ნაწილია ჩვენი ეროვნულ სხეულისა და მისდამი მტრობა სრულიად ქართველი ერისადმი მტრობა იქნება. ქართველი ერი შესაფერ ზომებს მიიღებს იმ არა მკითხეთა წინააღმდეგ, რომელნიც აჭარლების სულში ფათურობენ. მავნე პროვოკაციის არსებითად მოსპობა მთავრობის ორგანოს შეუძლიან. ამ კითხვაზე ბათომის აღმასრულებელ კომიტეტში შუამდგომლობა თვით აჭარლებს აღუძრავთ.

ბათომის კომიტეტის და ქართველ მაჰმადიანთა ყრილობას ერთი ეროვნული ხმა უნდა მისცეს ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიებმა, როგორც ამას მოითხოვს გაზ. „საქართველო." სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ თბილისის მაჰმადიანთა ეროვნულმა კომიტეტმა აჭარის პროვოკაციაზე თავისი მხურვალე პროტესტი განაცხადა და ასეთივე პროტესტის განცხადებას სთხოვს

იგი ამიერ კავკასიის მუსულმანთა მთავარ კომიტეტს.

სხვა ნაირად არც შეიძლებოდა. კავკასიის ერებს, თუ ურთიერთ შორის სოლიდარობა სწადიათ, ამისთვის მარტო სიტყვა არ კმარა, არამედ ერები მოვალენი არიან სოლიდარობა პრაქტიკულ მოქმედებით დაამტკიცონ დღეს დღეობით. ეს ასეც რომ არ მოხდეს და კავკასიის ყველა ერმა არ შეიგნოს ეს მიუცილებელი კეთილ მეზობლობის მქნელი პირობა, ქართველი ერთიმ მიანც ვალდებულია მედგრად დაიცვას თავისი ლვიძლი ხმა აჭარა და ააცდინოს მას უმართებულო დარბევა აწიოკება.

ჰეყ

რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მილიუკოვის თანამდებობიდან გადადგომა.

პეტროგრადი. 3 მაისი. დროებითი მთავრობის წევრთა ღამის სხდომაზე დაახლოვებით 12 საათზე, გამოარკვიეს კითხვა მილიუკოვის გადადგომის შესახებ. ღამის 12 საათზე მილიუკოვი სტოვებს კრებასა და მიდის. მილიუკოვის მიერ კრების დატოვება აიხსნება იმ გარემოებით, რომ იგი ვერ შეუთანხმდა უმრავლესობას სამინისტროს გარდაქმნის კითხვაში. მილიუკოვმა წასვლისას განაცხადა, რომ იგი ხელს იღებს თანამდებობაზე, შინგარევი და მანუილოვი აცხადებენ, რომ იგინი კითხვას სამინისტროში დარჩენის შესახებ სტოვებენ გადაუჭრელად, სანამ არ მოელაპარაკებიან თავის პოლიტიკურ მეგობრებს.

დროებითი მთავრობის წევრებმა აღძრეს კითხვა შესახებ იმისა, რომ პრემიერ-მინისტრმა თ-დმა ლვოვმა მიიღოს თავის თავზე საგარეო საქმეთა მინისტრის მილიუკოვის მოვალეობის აღსრულების საქმე.

თ-დმა ლვოვმა კატეგორიულად უარი განუცხადა წინადადების მიმცემთ, რადგან მას არ შეუძლია ამ საქმის გაძღოლა. ბოლოს დროებითი მთავრობის წევრებმა გადასწყვიტეს გარეშე საქმეთა მინისტრის მილიუკოვის პორტფელი გადასცენ ტერეშჩენკოს.

სხდომაზე გამოირკვა აგრეთვე, რომ სამხედრო და საზღვაო მინისტრის პორტფელი გადაეცემა ალ კერენსკის.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პროექტი.

პეტროგრადი. 3 მაისი. სამხედრო-სანიტარულ ხარჯთაღრიცხვის მთავარმა სამმართველომ მოიწონა და მიიღო პროექტი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებისა.

თივის დაწვა.

პეტროგრადი. 3 მაისი. ერთსა და იმავე დროს ნიკოლაევში, ხერსონში ცეცხლი გაუჩნდა თივას. დაიწვა 5,000 ვაგონი თივა.

გლეხთა ყრილობა.

ნიკოლაევი. 3 მაისი. გაიხსნა საგუბერნიო გლეხთა ყრილობა. ყრილობას დაესწრო 332 დელეგატი. მოელიან კიდევ 100 დელეგატს.

რამდენიმე ჯარისკაცის გერმანელებისკენ გადასვლა.

მინსკი. 3 მაისი. დასავლეთის ასპარეზის მთავარ-სარდალი აღნიშნავს ზოგიერთ ჯარისკაცთა საქციელს, რომლებიც გაფრთხილებული იყვნენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა გადავიდენ გერმანელების მხარეზე და აუწყეს მათ ყოველგვარი საიდუმლოებანი ჩვენი ჯარისა და ჩვენი მოქმედების შესახებ. გერმანელებმა ამით ისარგებლეს და დაგვიშინეს ძლიერი ცეცხლი. ყოველგვარს ხერხს მიმართავენ გერმანელები, რათა რუსის ჯარში არევდარევა გამოიწვიონ. ამის და მიხედვით ამიერიდგან ჩვენს ჯარისკაცებს ეკრძალებათ რაიმე კავშირის დაჭერა გერმანელ ჯარის კაცებთან.

მთავარ სარდლების პეტროგრადში ჩამოსვლა.

პეტროგრადი. 3 მაისი. დღეს ჩქარის მატარებლით პეტროგრადში ჩამოვიდენ მთავარ-სარდლები: ალექსეევი, გურკო, დრაგომიროვი, ბრუსილოვი და შჩერბაჩევი.

ძარცვა გლეჯა.

ხარკოვი. 1 მაისი. გახშირდა ძარცვა-გლეჯა. დღეს დილით 9 შეიარაღებულმა უცნობმა გასტეხა ცეკლეევის მემკვიდრეთა მაღაზია. მძარცველებმა, როცა ისინი მაღაზიაში შევიდენ, მოსამსახურეთ შესძახეს „ხელები ზევითო.“ დაიმორჩილეს რა მაღაზიის მსახურნი, შეუკრეს ხელები და გაიტაცეს ფული და მრავალი ძვირფასი ნივთი.

თავისუფლების სესხი.

კიევი. 2 მაისი. თავისუფლების სესხზე ხელის მოაწერა 30 მილიონ მანეთამდის აღწევს.

გრუზინოვის გადადგომა.

მოსკოვი. 2 მაისი. სამხედრო საოლქო სამმართველოში გრუზინოვის თანამდებობის აღსრულება მიენდო გენერალ პროტოპოპოვს, რადგან გრუზინოვმა ხელი აიღო თანამდებობაზე.

პირველ 21 დღის განმავლობაში მოსკოვში. ხელი მოაწერეს 186 მილიონ მანეთზე.

მსოფლიო ომი

(პ. დ. ს.)

დასავლეთის ასპარეზი

ლონდონი. 2 მაისი. ოფიციალი. განვაგრძობთ წინსვლას სკარპის მიმართულებით. საბოლოოდ დავიკავეთ სოფელი რე.

ლონდონი. 1 მაისი. ოფიციალი. 29 აპრილიდან მოკიდებულ დღემდის ინგლის-საფრანგეთის ჯარმა ტყვედ წამოიყვანი 495,792 გერმანელი; მათ რიცხვში 976 ოფიცერი, ხელთ იგდო 144 სამხედრო იარაღი, 386 თხრილების გასაკეთებელი მასალა და 943 ტყვიის მფრქვეველი.

ლონდონი. 3 მაისი. ოფიციალი ღამით მოვიგერიეთ გერმანელების მიერ მოტანილი იერიშები იპრის ჩრდილოეთით მდებარე ადგილებში. წამოვიყვანეთ ტყვეები. რეს მიმართულებით წინ წავიწიეთ,

ლონდონი. 2. მაისი. ოფიციალი. მდ. ენის სამხრეთ აღმოსავლეთით ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოდ სწარმოებდა. მტრის კონტრ იერიშები, რომელიც მოჰქონდათ ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ ჰინდენბურგის მიმართულებით უნაყოფო გამოდგა ბილეკურის სამხრეთ დასავლეთით მტერი უკან იხევდა.

ლოოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით დავიბრუნეთ მდ. იპრის ახლომახლო მდებარე ადგილები. მივახდინეთ აგრეთვე მტერზე ძლიერი თავდასხმა.

იტალეთის ასპარეზი.

რომი. 1 მაისი. ოფიციალი. კოკტარელის მთის კალთებზე დავამარცხეთ მტრის რაზმები. გორიცას მახლობლად ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ 30 ტყვე ჯარის-კაცი წამოვიღეთ ორი სამხედრო იარაღი.

რომი. 3 მაისი ოფიციალი. ტოლმიკოს ახლო-მახლო მდებარე ადგილებში ხდებოდა საარტილერიო ძლიერი ბრძოლა მონტეკოს მიმართულებით წინ წავიწიეთ გორიცას ჩრდილო-აღმოსავლეთითაც წინ წავიწიეთ ტყვეთა რაოდენობა 200 კაცს უდრის.

მესოპოტამიაში.

პეტროგრადი 2 მაისი ოფიციალი. ჩვენი ჯარი კვლავ გადვიდა მდ. დიანაზე ჯუმრის მახლობლად ხანკინის ჩრდილო მდებარე ადგილებისაკენ. მტერი წინააღმდეგობას ევილწევდა კიზრ კადირის ჩრდილოეთით, მაგრამ ვაიძულეთ უკან დაეხია.

რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 2 მაისი ოფიციალი. სროლა და მზვერავთა მოქმედება გრძელდება.

მფრინავთა მოქმედება.

ლონდონი. 2 მაისი ოფიციალი ჩამოაგდეს გერმანელების 6 ჰაეროპლანი. ვაიძულეთ აგრეთვე მტრის ორი თვითმფრინავი ძირს დაშობილიყო ჩვენ დავკარგეთ 3 ჰაეროპლანი.

რომი. 1 მაისი. ოფიციალი. აკვილოს მიდამოებში მტრის მფრინავებმა ჩამოყარეს ყუმბარები. ყუმბარებს უშენდენ არქეოლოგიურ მუზეუმს. ჩამოვაგდეთ მტრის ორი ჰაეროპლანი.

პეტროგადი. 2 მაისი. ოფიციალი. ჩვენმა მფრინავმა ჩამოაგდო გერმანელების თვით მფრინავი, რომელიც ჩამოვარდა ვოლშოვცის მიდამოებში. ჩვენმა მფრინავებმა ჩამოყარეს ყუმბარები.

რომი. 3 მაისა. ოფიციალი. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს მტრის ბანაკში გორიცას აღმოსავლეთით.

ახალი ამბავი

◆ ქუთაისის სარკინის გზო სამმართველოს სამოძრაო სამსახურის განყოფილება ბათუმში გადააქვთ.

◆ **სასოფლო და საქალაქო აღწერა.** საბოლოოდ გადაწყვეტილია მოხდეს სასოფლო და საქალაქო აღწერა მთელს რუსეთში. სასოფლო აღწერა უნდა დასრულდეს 15 აგვისტომდე, ან 1 სექტრებამდე. საქალაქო აღწერა უნდა დაიწყოს მაისში და უნდა დასრულდეს არა ადრე ივნისის პირველ რიცხვებისა. სასოფლო აღწერის მიზანი სამია: 1) სასურსათო საკითხის გამორკვევა, 2) სამუშაო და საკლავ საქონლის რიცხვის გამორკვევა და 3) საადგილ-მამულო საქმის გამორკვევა. საქალაქო აღწერის საგანი ორია: 1) სასურსათო კამპანიის გეგმის შემუშავება და 2) მასალების შეგროვება დამფუძნებელ კრებისთვის. კავკასიაში აღწერის მოხდენა მინდობილი აქვს სასურსათო საქმის მთავარ-რწმუნებულთა არსებულ ცენტრალურ სასტატისტიკო ბიუროს. ამავე ბიუროს უფლება აქვს აღწერის პროგრამა ადგილობრივ პირობათა და საჭიროების მიხედვით შესცვალოს. ამ აღწერის გამო ამ დღეებში ტბილისში გამართება კავკასიის სტატისტიკოსთა ყრილობა საპროგრამო და საორგანიზაციო საკითხების განსახილველად. ბიურო უკვე შეუდგა მუშაობას და მიწერ-მოწერა გამართა ადგილობრივ სასურსათო კომიტეტებთან და სხვა სათანადო დაწესებულებებთან. აღწერის დროს შეგროვილი მასალა დამუშავებულ იქნება ადგილობრივ, სადაც ეს არ შეიძლება — თფილისში.

◆ **ახალი მატარებლები.** მაისის 3-დან თფილისსა და ბათუმს შუა ორი ახალი მატარებელი ივლის.

◆ **ჯარის-კაცების დათხოვნა.** — იმ ჯარის კაცებს, რომელნიც 40 წლისაზე მეტნი არიან, სამსახურიდან განთავისუფლებენ სოფლის სამუშაოს შესასრულებლად კავკასიელებს და ციმბირელებს ექვსი კვირით, ევროპის რუსეთელებს კი 4 კვირით. განთავისუფლებელია 10% მომქმედ ჯარიდან, ხოლო ქალაქებში დაბანაკებულ ჯარიდან 15%

◆ **ეროვნულ საკითხზე საბჭოთა** მუშათა დეპუტატების საბჭოს პროპაგანდისტთა. კოლეგიამ გადასწყვიტა განსაკუთრებული სხდომები გამართოს ხოლმე. სხდომებზე დასასწრებლად მიიწვიეს ნ. ჟორდანია, პ. საყვარელიძე და ეროვნულ საკითხის სხვა თეორეტიკოსები.

◆ **ექიმთა პროფესიონალური კავშირი.** 2 მაისს ქალ. თვითმართველობის დარბაზში საღამოს 9 საათზე მოხდა ქუთაისის გუბერნიის ექიმთა დამფუძნებელი კრება პროფესიონალური კავშირის დასაარსებლად. კრების თავმჯდომარედ ერთხმად დიმ. ნაზაროვი აირჩიეს. არჩეულ იქნა 8 კაცისაგან შემდგარი ბიურო კავშირისა. ბიუროს თავმჯდომარედაც დიმ. ნაზაროვი აირჩიეს, ხოლო წევრებად ექიმები: 1 მ. ჩხენკელი, 2. ბადრიძე, 3. რელიგიონი 4. ვ. წერეთელი, 5. ვ. ლორთქიფანიძე 6. გ. გოკიელი, 7. ი. ასათიანი. მათ კანდიდატებათ: დავ. ლორთქიფანიძე და სიმ. ლორთქიფანიძე. ექიმთა დამფუძნებელი კრებამ დაადგინა, რომ ბიურომ ყველა დაწესებულებებში თვისი წევრები იყოლიოს

◆ **სასურსათო საქმე.** ქუთაისის სურსათ-სანოვაგის კომიტეტმა მიიღო 13 ვაგონი შაქარი.

◆ ამ თვის 18 მაისს **დანიშნულია მუშაჟურნალისტთა საგუბერნიო კონფერენცია.**

— რედაქციამ მიიღო გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“ მე-4 ნომერი.

◆ **თავის დახრჩობა** 4 მაისს რიონში გადავარდა და დაიხრჩო 16 წლის ქალი ბაბუცა ბაბიანი.

— ქუთაისის გარნიზონის უფროსმა სასტიკი განკარგულება გამოსცა, რომლის ძალითაც ჯარის კაცებს ეკრძალებათ სახაზინო ნივთების გაყიდვა. პასუხის გებაში იქნებიან აგრეთვე მიცემული ისინი, ვინც ჯარისკაცთაგან რაიმე ნივთეულობას შეიძენენ.

◆ გრ. ბარათაშვილმა აღმასრულებელ კომიტეტში კითხვა აღძრა, რომ საჩქაროდ შეუდგენ ძველ ჟანდარმთა საბუთების განხილვას. აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ტიპიკონი

ქართველ კათოლიკეებში უძველეს დროიდან დღევანდლამდე.

(დასასრული)

10) ველის სამრევლო. ველის მცხოვრებნი 1733-1740 წლეებში მოუქცევია პატრი ნიკოლო ჯირჯენთის. აი რანაირათ მომხდარა მათი გაკათოლიკება: არტაანის ფაშა, ვინმე მიქელაძე, ავად გამხდარა; საექიმოთ ახალციხის პატრი მოუწვევია; მისიონერს მალე მოურჩენია, ფაშას კი მისი გაშვება აღარ სდომებია: უკეთუ შენი სარწმუნოების ქადაგება გინდა, რაღა სხვაგან მიდიხარ; ჩემი საბეგოს ქართველობა სულ გავამუსულმანეთ, სამი სოფელი დარჩა, ვერას გზით ვერ მივაღებინეთ ჩვენი რჯული, წადი და თუ გნებავს გააკათოლიკეო. პატრიც დათანხმებულა და სულ მალე მიუღებინებია მათთვის კათოლიკე სჯული. 4) ზ. ჭიჭინაძე სამს სოფელს იხსენიებს, და სახელით კი არც ერთს ასახელებს. უეჭველია, ამ სოფლების რიცხვში უნდა იყოს. დანარჩენ ორ სოფელზე სხვა არავითარი ცნობა მოგვეპოება. ველელებში სულ პირველათ ადგილობრივ დეკანოზს მიუღია კათოლიკობა, მერმე ამ უკანასკნელს გაუკათოლიკებია ერი (გვ. 473); არ ვიცით, სადამდე გასტანა ხსენებულ დეკანოზის მწყესობამ; ეს კია 1763-ს კვლავ ქართული ღვდელი იხსენება სოფ. ველში, სადაც ამ ჟამად 154 სული ირიცხებოდა ქართული ტიპიკონის მიმდევარი (გვ. 434). 1769 წელს მოხუცებული და დასნეულებული ღვდელი ჰყოლიათ, შეიძლება ეს იგივე დეკანოზი იყოს; პროპაგანდა სთხოვს კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზს სხვა ღვდელი დანიშნოს (ქართულ ტიპიკონისა) მის მაგიერათ (გვ. 441) ამ სოფელში სომხურ ტიპიკონისა მიმდევრებიც მოიპოებოდენ, არ მოსჩანს მოდგმითაც სომეხნი იყვნენ, თუ მარტო ტიპიკონით, მხოლოდ სომხური არ უნდა სცოდნოდათ-რადგან მისიონერები ამბობენ, იქაურ წინამძღვარმა, კმარა იცოდეს, თათრული და ქართული ენაო (გვ. 474). უფრო საფიქრებელია, რომ გასომხებული ქართველები იქნებოდენ, რომელთა რიცხვიც ძალიან მეტი იყო; 1766 წლის სტატისტიკაში, ველის სომხები 82 სულამდე ირიცხება (გვ. 437); მაშინ ველში ორი ღვდელი ყოფილა, ერთი ქართულის და მეორე სომხურის ტიპიკონისა. ღვდლის უყოლობისას, მუდამ პატრები უწევდენ სულიერ დახმარებას, ხან და ხან ახალციხის სომხურ ტიპიკონის ღვდლებიც გარეულან, და ბოლოს მთლათ დაუსაკუთრებიათ, ისე რომ 1780 წელს ქართულ ტიპიკონის ღვდელსაც არ უშვებენ იქ; ველელებმა შემდეგი საჩივარი მიართვეს პატრების უფროსს. ,,ქ. 5) ცოდვილნი ერნი ველის, ზოგად (ერთიანათ) კათოლიკეები ქართველთ გვარისანი, უმწყემსოდ და დაცვივნულნი ცხვარნი... ჩვენ ცოდვილნი და არა ღირსად წოდებულნი კათოლიკე სარწმუნოებისა; ქედ დადრეკით, დავრდომით ხელპყრობილნი, საღმთოსა მას ფერხთა ანბორებას მოუძღვნით ახლა ამის ვეხვეწებით და ვეუნჯებით, რომ ჩვენი რიგის (ტიპიკონის) ღვდელი ღმერთს გამოუგზავნია ჩვენთვის, და ეგ ჩვენი კათოლიკე მამები აყენებენ (არუშვებენ). ახლა, ამ წყალობას ვითხოვთ თქვენის მოწყალე გულისაგან, რომ თქვენი ბრძანებით, წყალობა უყოთ მაგ ჩვენს ღვდელსა, რომ ჩვენს საბრალო სულებს მოუაროს ჩვენს ქართულ რიგზე 6) (ტიპიკონზე), არა თუ იმ შერჩვენებულის ფოციოს რიგზედა, მაგრამ იმ წმინდა მამის ოქროპირის რიგზედა. ახლა თუ იკითხავთ, ჩვენი ნამყენობა, ლათინთ ნამყენი და ნაყოფნი, დამოწაფებული და მონადირებული ვართ, არა თუ სომეხ გვარისაგან. და ესეც უწყოდეთ, ბატონო, თუ რამე მაგ ღვდელს წყალობას გვიზამთ, დიდ ბევრს სულებს შევძინამს ღმერთი'' (გვ. 476). ხელს აწერენ: ელისბარი, ასლანი, ჟოჟომი, სუნბული, ოქრუა, შიო, ელიკო ცაცო და სხვა...

ხსენებული მღვდელი ყოფილა თბილისელითაც, რომლისთვისაც ბოლოს ნება დაურთვიათ, ველელების შორის ელავნა, მაგრამ საქმე ისე აურ-დაურევია, რომ კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზი იძულებული გამხდარა პ. პოლიკარპო დაენიშნა მის მაგიერ 1784 წელს. ამავე დროებში ანტიოქიის კათოლიკე პატრიარქი აგზავნის ვასილ მონაზონს: ველელები ჩემი ქვეშევრდომები უნდა იყვნენ, როგორც მიმდევრები ქართულ ტიპიკონისაო!

თადესგან დაკლებული ვასილს გაუვსია, ბოლოს ესეც გაისტუმრეს, საიდგანაც მობრძანებულიყო 1786 წ. (გვ. 475). მშვიდობა მაინც არ დამყარებულა ამ უბედურს სოფელში. პ. პოლიკარპოს მოუწვევია ერთი სომხის მონაზონი, — სამრევლოს ერთი ნაწილი სომხის ტიპიკონისაა და ამით ვასიამოვნებო; ახლად მოსულს დანოსები უფრენია არტაანის ბეგთან... საქმე იმით დამთავრდა, რომ სტუმარმა მასპინძელი გააძევა: უცებ თათრის ჟანდარმები დაადგა თავს პ. პოლიკარპოს, და ნახევარ საათში მიატოვებინა სოფელი! (გვ. 479). ეს მოხდა 1787 წელს. კონსტანტინეპოლის სასულიერო კონსისტორიამ გამოიძია რა საქმე, კვლავ პ. პოლიკარპო დააბრუნა. ამის შემდგომ მისიონერს მშვიდობით ულევაწნია თავის ქართულ სამრევლოში 1797 წლამდე, ამ წელს კონსტანტინეპოლს გამგზავრებულა და თან ორი ველელი ყმაწვილი წაუყვანია რომში გასაგზავნათ; საუბედუროთ, ომიანობის გამო, კონსტანტინეპოლს ვერ გასცილებიან და იქვე დაუწყვიათ ბავშვებს სამღვდელო სწავლა (გ. 475, 486). პოლიკარპოს შემდგომ ვიდაც მოხუცი ქართველი ღვდელი წინამძღვრობს რომელიც მიცვლილა 1802 ს. მის ადგილზე მაშინვე სომხის ღვდელი უფრენიათ; პროპაგანდას კი მტკიცეთ სდომებია, ველელებს ქართული ტიპიკონის ღვდელი ჰყოლებოდათ, ამიტომაც ავალებს ახალციხის უფროს მღვდელს შაჰყულიანს, ორი ველელი ყმაწვილი გაგზავნოს რომში: „წმინდა კრებამ, რადგან კარგათ უწყის ბერძენ ქართულ მღვდლების საჭიროება, დაადგინა, რომ დავიბაროთ მაგ ტომის ორი ყმაწვილი და გავწვრთნათ ბაღინანთ გრიგოლ ღვდლის ხელმძღვანელობით.“ შაჰყულიანს თითიც არ გაუნძრევია განკარგულების სისრულეში მოსაყვანათ; ამდაგვარ პასუხს აძლევს იგი: ბატონებო, რათ სწუხდებით, რაღაც თითო ოროლა ქართველი (გამოდის,) დანარჩენები უკვე გაუსომხებიათ?!) და ესენიც მიეჩვიენ სომხის ღვდელსაო (გ. 487). პროპაგანდას (რომის კონსისტორია) მეტათ საწყენათ ურჩება შაჰყულიანის ურჩობა: „შესახებ ველისა, უფრო შესაფერი იქნება იქ მყოფ ქართველ კათოლიკობას, რადგან ცოტანი იყვნენ, ჰყავდესთ ღვდელი, რომელმაც საიდუმლოები და საეკლესიო წესები შეუსრულოს მათ თავიანთ საკუთარ ტიპიკონისამებრ, რასაც ძლიერ კმაყოფილი დარჩებიან, თუმცა საჭიროებამ იძულებული ჰყო მიემართათ სომხური ტიპიკონის ღვდლებისათვის. რადგან სხვა საშვალება არ ჰქონდათ. (პროპაგანდის) კრება მეტათ მოწადინებულია, ველს და ახალციხეში განწესებულ იქმნენ ქართველი მღვდლები ბერძნის ტიპიკონისა... თქვენ ეცადეთ თანხმა უნდა იყვეთ და არ დაზოგოთ მთელი თქვენი თანამშრომლობა.“ (1803 წ.) შაჰყულიანმა ამ ჯერობათ კი იკადრა ბრძანების ასრულება: 1805-ს ორ ქართველს გზავნის რომში, საუბედუროთ ესენიც კონსტანტინეპოლის იქით ვერ მიდიან და იქვე სწავლობენ, (გ. 495-496). ამის შემდგომ წერილობითი ცნობები აღარ გვაქვს ველელებზე, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ 1830-1840 წლებში კვლავ მშობლიურ ტიპიკონზე ყოფილან; ნეტარ-ხსენებული აბატი პეტრე ხარისჭირაშვილიც (1817-1890) მოსწრებია მათ ქართულ ტიპიკონობას. უკანასკნელ, დარჩენილა ერთი ქართველი დიაკონი, ფილიპე, თავგამოდებული დამცველი მშობლიურ ტიპიკონისა; როდესაც სომხის მღვდელი დაიწყებდა თავის „ტერვაღომიას“ დიაკონი ფილიპეც შემოიჭრებოდა და ქართულათ შესძახებდა: „მერმე და მერმე მშვიდობით უფლისამიმართ ვილოცოთ...“ ფილიპეს სიკვდილის შემდგომ, ხალხი კიდევ დაჟინებით თხოულობდა ქართულ ტიპიკონს, მაგრამ ცბიერ შაჰყულიანს უპასუხებნია: ხალხო, რას თხოულობთ! რუსის მთავრობასაც ეგ უნდა, რომ ქართული ტიპიკონზე იყვნეთ მიწერილნი; ამას წიგნებში რომ ამოიკითხავს, მერმე არც შეგეკითხება,

---

4) ზ. ჭიჭინაძე სამცხე-საათაბაგო გვ. 26.

5) ასო ,,ქ'' ნიშნავს. ,,ქრისტეს'' ძველათ ამ დაგვარათ იწყებდენ წერილებს.—6) ფაციომ კონსტანტინეპოლის კათედრა ჩამოართვა კანონიერ პატრიარქს წმ. ეგნატეს, და თვითონ გაპატრიარქდა, რის გამო განხეთქილება მოუხდა კათოლიკე ეკლესიასთან.

კითხვა იურიდიულ კომისიას გადასცა.

◆ **მილიციის საქმე.** მაზრის კომისარი ბ-ნი ბერძული აღმასრულებელ კომიტეტში აცხადებს: რადგან იმ მილიციელს, რომელსაც სამხედრო ბეგარა აქვთ მოხდილი, ჯარში იბარებენ, ქალაქი უმილიციოდ რჩება, და მე წესრიგის დაცვაში პასუხის მგებელი ვერ ვიქნებით.

შეცდომათა გასწორება.

◆ „ჩვენი ქვეყნის“ მე 21 ნომრის ფელეტონში შემდეგი შეცილებანია შეპარებული.

მე- 2 სვეტი, მე-12 სტრიქონი: რომ ის ღვდელმთავარს, უნდა იყოს: რომის ღვდელმთავარს.

მე-4 სვეტი, მე-12 სტრიქ: სახელები; უნდა იყოს: სახლები. მე 4 სვეტის მე-17 სტრიქონში, შემდგომად სიტყვისა „ირიცხებიან“ ჩასამატებელია: სიტყვები “ეგრეთვე» და სხვა არც ერთს ღვდელს“ მე 4 სვეტი, მე-23 სტქიქ: გამოკლებლივ; უნდა იყოს: გამოუკლებლივ. მე-5 სვეტს, მე 7 სტრიქონში, შემდგომად სიტყვისა „პატივითი, ჩასამატებელია: მოეპყრნენ, რადგან იმათში 60 თავადი ერია (გ. 372) მაგრამ ღვდელი მაინც...

№ 4, 10, 14, 21,

◆ **გაზეთის დახურვა.** 22 აპრილს ბათუმის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით დაიხურა გაზეთი „ბატუმსკია ვესტი“ ამის გამო რედაქტორს დეპეშით პროტესტი გაუგზავნია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისათვის, იუსტიციის მინისტრისათვის და კავკასიის კომისარიატისათვის.

◆ **ჩვენმა ქალაქმაც მიჰბაძოს.** თბილისში შესდგა პურის მცხობელთა კავშირი (Хлѣбосоюзъ). კავშირის მიზანია მცხოვრებთ კარგი ხარისხის პური მიაწოდოს. ეს ზომა გამოიწვია იმ მოვლენამ, რომ კერძო მეპურენი ჯერ ერთი არ უწევდენ ანგარიშს სასურსათო კომისიის ნიხრს, მეორე არ აცხობდენ ყოველ დროს საკმაო პურს და მესამე სასურსათო კომიტეტისგან მიღებულ თეთრ ფქვილში სხვადასხვა ხარისხის უვარგის ფქვილს ურევდენ, რაც პურს აუგემურებდა და ჯანმრთელობისთვის მავნებლად ხდიდა. პურის მცხობელთა კავშირში შედიან კოოპერატიული დაწესებულებანი. ესენი ყოველ უბნისთვის აცხობენ საჭირო პურს და ჰყიდიან დადებულ ნიხრით. რადგანაც ქუთაისის მცხოვრებლებმაც საკმაოდ გამოცადეს უპურობისგან მიყენებული სიმწარე, ამიტომ სასურველია, რომ ზემოხსენებულ ზომას ჩვენმა ქალაქმაც მიჰბაძოს.

◆ **კომისარი აკაკი ჩხენკელი** ტელეგრაფით სთხოვს ქუთ. აღმას. კომიტეტს, აცნობოს მას პოლკოვნიკ მარტინოვის საქმე. აღმასრულებელი კომიტატი შეეკითხა კომისარ ჩხენკელს, თუ რომელ პოლკოვნიკ მარტინოვის საქმე ეპირვება კომისარიატს, რადგან ქუთაისის გუბერნიაში ძველი რეჟიმის დროს ორი მარტინოვი მოღვაწეობდა.

◆ **იარაღის ტარება.** ზუგდიდის აღმასრულებელი კომიტეტი ქუთ. აღმასრულებელ კომიტეტს ეკითხება, თუ რომელ ორგანოს უნდა ეკითხოს იარაღის ტარების ნებართვის მიცემა: ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა ზუგდიდისას აცნობა: იარაღის ტარების ნებართვის გაცემა შეუძლიან გუბერნიის და მაზრის აღმასრულებელ კომიტეტებს.

მ. **ყაუხჩიშვილის კერძო გიმნაზია** დაამთავრეს შემდეგმა პირებმა:

ამირბეგიშვილი ნინო, აკოპიანცი გოარიკა ბართაშვილი ნინო, ბახტაძე ნადეჟდა, გოგორიშვილი ნადეჟდა, გობეჩია ელენე, გოკიელი სუსანა, დათეშიძე თამარა, დოთუნაშვილი მარიამი ელიძე ნინო, ელიავა მარიამი, კერესელიძე ქსენია, კაჭარავა თამარ, კაციტაძე ელენე, კალანდაძე ქეთევანი, კაშკაშვილი ქსენია, კუჭუხიძე თამარ, ქავთარაძე ელენე ქავთარაძე ელენე, ქუთათელაძე ნინო, ქამაროვი თამარ, ქავთარაძე ელენე, ქავთარაძე ელენე, ქუთათელაძე ნინო, ქამაროვი თამარ, მახარაძე ანასტასია, ქურციკიძე სოფიო, მღებრიანცი ნატა. მაჭავარიანი მარიამი, მეძმარიაშვილი, პოგრეძეცკი ანნა, ხაროზოვი მარგარიტა, ხუხია მავრა, ხოჯაიანცი თამარ, ხანკოანცი სირანუშ, ჩიხლაძე თამარ ჩიხლაძე თამარ, ჰავჭანიძე აკულინა, ჰიჰინაძე, ვერა, წულუკიძე ნინო, ცქრილილაძე ვერა, ცირეკიძე მარიამი, უგავა ბარბალე, ნანეიშვილი მარიამი, საყვარელიძე ბარბალე, ტიხონოვი გალინა იაშვილი მარიამ. კვირკველია ელენე, კაპანაძე ანნა

თბილისი.

— **ორიგინალური მოწოდება.** მეტეხის ციხის პატიმართა საბჭომ მოწოდება გამოუშვა, რომელშიც შემდეგია ნათქვამი: ახალმა მთავრობამ ჩვენ შეღავათი მოგვცა. მადლობის ნიშნად უნდა მოისპოს კერძო საკუთრების ხელშეხება, მექრთამეობა და სისხლის სამართლის სხვა საქმეები. ამიტომ სხვის საკუთრების მოყვარულთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ყველა მექრთამეს, ჯიბგირს, თავდამცემს, პორტმანის დამგდებს ჩვენც დავსჯით ჩვენის მხრით, როცა მეტეხის ციხეში მოვა. თანაგრძნობის ნაცვლად ძველ პატიმართაგან ზიზღს და ბოიკოტს მიიღებენ. თავის გამართლება იმითი, რომ უსაქმოდ ვიყავიო, არ მიიღება. ვისაც საქმე არა აქვს მიმართოს ციხის პატრონატს. ყველამ დასტოვეთ სათამაშო სახლები, ნუღარ იქურდებთ გაეფიცეთ ამ ქურდობას და დასტოვეთ უსაქმოდ გაგიევი (მაძებარ პოლიციის უფროსი) და პროკურატორა.

— **კოოპერატივები და სამხედრო ბეგარა.** ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირმა დეპუტატის კარლო ჩხეიძის პირით შუამდგომლობა აღძრა შეღავათის აღმომჩენ მთავარ კომიტეტის წინაშე, რათა მომხმარებელ საზოგადოებათა მოსამსახურეთ შეღავათი მისცემოდა. მთავარმა კომიტეტმა მხედველობაში მიიღო კოოპერატივთა მოსამსახურეების სიმრავლე და შუამდგომლობის დაკმაყოფილება შეუძლებლად სცნო. ამასთანავე განმარტა, რომ კოოპერატივებში შეიძლება მიწვევა ქალებისა, სამხედრო სამსახურიდან თავისუფალ კაცებისა და დაჭრილ მეომრებისაო.

ექიმი ვახტანგ, ძმები: ქსენოფონტე, მიხეილ და დავით, მეუღლე
ვანდა და რძალი პელაგია ლამბაშიძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთა,
რომ ძვირფას და დაუვიწყარ დედის

ოლღა ნიკოლოზის ასულის ლამბაშიძის

გარდაცვალების ნახევარი წლისთავის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი
იქნება კვირას, 7 მაისს, დაბა ყვირილის, წმ. ნინოს ეკლესიაზედ.
წირვის დასაწყისი დილის 10 საათზედ.

პროვინცია.

◆ **ჭიათურა.** შავიქვის მრეწველობის მუშებმა ეკონომიურ ნიადაგზე გაფიცვა გამოაცხადეს..

◆ ს. ვანი. 11 მაისს მოხდება ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. ს. წევრთა წლიური საზოგადო კრება.

◆ **სოფ. კიცხი** (ზემო იმერეთი). ამ დღეებში აქ გაიხსნა კოოპერატიული სავაჭრო დუქანი. სოფლის საზოგადოებამ მომხმარებელ დუქნის საქმეთა/საწარმოებლად აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი გამგეობა და სარევიზიო კომისია.

◆ **პროვინცია.** ტყეებს ანადგურებენ. როგორც სიღნაღის მაზრის ტყის უფროსი ატყობინებს სათანადო მთავრობას, სოფ. ჩუმლაყის (სიღნაღის მაზ.) გლეხები შესევიან სახელმწიფო ტყეს, სჩეხენ, ადგილს ასუფთავებენ და შემდეგ ხნავენ თურმე.

◆ **შიმშილობა პროვინციაში.** კომისარის ჩხენკელისა და მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელობაზე მოსულ დეპეშების მიხედვით, ლაგოდეხში (კახეთი) შიმშილი ჩამოვარდნილა და საქმის მდგომარეობა საშიშარ ხასიათს ღებულობს. მომეტებულად დამშეული ნაწილი მცხოვრებლებისა აქა იქ დაძრწიან თურმე ლუკმა პურის საძებნელად. ჩხენკელი უკვე გაემგზავრა სიღნაღ-ლაგოდეხში. მას თან ახლავან მისი მდივანი გოგიტა ფაღავა და ნ. კალანდაძე (ეშმაკი).

კავკასიის ქრონიკა.

ბაქოს გუბერნიაში ძარცვა გლეჯამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. 400 შეიარაღებული მოხეტიალე მთიელი თავს ესხმება ბაქოს გუბერნიის სოფლებს. სოფ. დოვალი (ბაქ. გუბ.) სულ ერთიანად გაძარცვეს. ადგილობრივმა მთავრობამ ვერავითარი ზომები ვერ მიიღო

ნახიჩევანი.

1 მაისს მოხდა სომეხთა ეროვნული ყრილობა, რომელმაც სომეხთა მომავალ კონფერენციაზე დასასწრებლად დელეგატები აირჩია.

ყაჩაღობა ერევნის გუბერნიაში ძლიერ გახშირდა. ნორქუსში 3 მაისს გაძარცვეს ფოსტა, საიდანაც გაიტაცეს 20,000 მან. ამავე დღეს თავს დაესხნენ სოფლის მცხოვრებთ და წაართვეს ცხენები.

სპარსეთიდან.

◆ 18 აპრილს მაისობა ქ. ყაზვინში დიდებულად იდღესასწაულეს. დაესწრო ურიცხვი ჯარი თავისი უფროსებით, ქალებით და სხვა გარეშე პირებით. წარმოითქვა მრავალი გრძნობიერი სიტყვა. ბუდუ მდივნის სიტყვებმა მეტის მეტათ ააღელა ჯარი, მას მოთხოვეს რაოდენიმეჯერ წარმოეთქვა სიტყვა, რაც აუსრულა.

დიდ მარხვის განმავლობაში ქ. ყაზვინში საერო გოსპიტლების ქირურგიულ განყოფილებაში იწვენ ქართველი ჯარის კაცები ივანე ბარ-სძე ბესელია—სენაკელია, ტარასი თაბაგარი, ევგენი ბობოხიძე, რამან მღვდლის შვილი და ნესტორ ბესელია. ივანე ბასალიამ თავი ისახელა ქურთებთან ბრძოლის დროს 26 იანვ. ის დაჭრილი გამოექცა ქურთებს, თოვლში ფეხშიშველი იარა 28 ვერსი და მოვიდა პოლკში გასისხლიანებული. ბესელია მორჩა და შინ წავიდა.

ზავის გარშემო.

სოციალ-დემოკრატების შეკითხვა:

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ რეიხსტაგში სოციალისტები შეეკითხენ მთავრობას, რათა უკანასკნელს გამოემჟღავნებია თავისი შეხედულება სოციალისტთა საზავო პროგრამის შესახებ.

ამერიკელ სოციალისტთა უკმაყოფილება.

ნიუ-იორკიდან იტყობინებენ, რომ იქაური სოციალისტები მეტად იმედ გაცრუებულნი დარჩენილან იმის გამო რომ პირველი მაისის დღესასწაულმა გერმანეთში წყნარადა და მშვიდად ჩატარდა. ამერიკელი სოციალისტები ძლიერი რევოლუციის აღმოხეთქას მოელოდნენ. ფრანგ სოციალისტთა უარს სტოკჰოლმის კონფერენციაზე დასასწრებლად შეცდომათ სთვლიან.

რადოსლავოვის აზრი.

ბულგარეთის პრემიერ-მინისტრს რადოსლავოვს ჰუნგრეთის ჟურნალისტისათვის განუცხადებია, რომ მთელი ბულგარეთი, მეფიდან დაწყებული უკიდურესი რადიკალებით გათავებული, ერთი აზრისა არის იმის შესახებ, რომ ზავი ყველა ბულგარელის ეროვნულ გაერთიანების გარეშე წარმოუდგენელია. ამავე შეხედულებას დაიცავენ ბულგარელი სოციალ დემოკრატებიც სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ამბები.

როგორ შეხვდენ გუჩკოვის გადადგომას?

პეტროგრადში [illegible] გამოშლილი, მრავალრიცხოვანი მიტინგები იმართება, ორატორები უნუგეშოთ სთვლიან რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას. მარსის მინდორზე ხალხმა მოისმინა ნ. გუჩკოვის გადადგომის ამბავი და ეს ფაქტი თანამედროვე მომენტისთვის ეროვნულ უბედურებად ჩასთვალა. მოსკოვში მშრომელი მასა და ბურჟუაზია მეტად შეფიქრიანებულია მთავრობის კრიზისით. სამინისტროდან გუჩკოვის გასვლა მოსკოველებსაც ეროვნულ უბედურებათ მიაჩნიათ.

თავადი ლვოვი აცხადებს, რომ გუჩკოვის წასვლის შემდეგ კრიზისი მხოლოდ იწყება, გუჩკოვის წასვლა დიდი უბედურებაა, მდგომარეობა მეტად სერიოზულიაო.

მთავარ შტაბის წარმომადგენლებმა ინახულეს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და განაცხადეს გუჩკოვის გადადგომამ დიდი გავლენა იქონიაო. სარდლები სამსახურს თავს ანებებენ.

წარმომადგენლებმა ურჩიეს კომიტეტს, ამოირჩიონ ისეთი კანდიდატები სამხედრო მინისტრის პოსტისათვის, რომელსაც იგი უსათუოთ ენდობა. როგორც ხმები დადის შეიძლება წამოაყენონ კანდიდატურა გენერალ უსაკოვსკისა, რომელიც თურქესტანში მსახურებდა და ცნობილია თავისი სოციალისტური რწმენით. შესაძლებელია, სამხედრო მინისტრად დაინიშნოს კერენსკი, ხოლო საზღვაოდ სკობელევი.

პეტროგრადის დიპლომატიურ წრეებში და საგარეო სამინისტროში საშინელი ალელვებაა.

მილიუკოვი საჩქაროთ გაიწვიეს ბანაკიდან პეტროგრადში.

სატახტო გაზეთეში დიდ წერილებს უძღვნიან სამინისტრო კრიზისს. ,,დენი‘‘ სწერს:—ვურჩევთ მოიგონონ კონდორსოს სიტყვები: ,,პრინციპი უნდა თვით ხალხის სულისკვეთებას გამოჰხატავდესო.. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიხსნათ რევოლუციის დროს დალუპვისგან კანონები.‘‘

,,რეჩი‘‘ სწერს, რომ როდესაც რუსეთი იხრაკება დაუქრობელ ცეცხლში; როდესაც სასურსათო საქმე ძლიერ ცუდ პირობებშია, მაშინ ვიღაც პროვოკატორები პეტროგრადელებს საპოგრომოდ მოუწოდებენ.

გაზეთის აზრით საჭიროა განისაზღვროს მუშათა და სალდათთა საბჭოების წარმომადგენლების კანდიდატურები მომავალ კოალიციურ სამინისტროში. მათ მიერ დასახელებული შვიდი კანდიდატურა მიუღებელია. გაზეთი ჰფიქრობს, რომ თუ უმთავრესად მინისტრებად მუშათა და

მართმადიდებლებათ ჩაგვთვლის, ამ დაგვარათ, დაგვეკარგებათ კათოლიკე სარწმუნოებაო. ეს ისეთი ძლიერი საბუთი იყო, რომ ყველა ჩაჩუმდა. ველელები ეხლაც აღიარებენ, რომ ქართველების ჩამომავლები ვართო; ამ ბოლო დრომდე, ქართული ხელნაწერი წიგნები კვლავ მოიპოვება მათ შორის. ზოგიერთმა მათგანმა ქართული ლოცვებიც კი იცოდა ზეპირათ, თუმცა მნიშვნელობა არ ესმოდათ. 1829 წლის მერმე ველელები გადმოსახლებულან ახალ ქალაქის მაზრაში და მოუშენებიათ შემდეგი ოთხი სოფელი: ბავრა, ტურცხა, კარტიკამი და ხულგუმო; ამ ჟამათ 4000 მცხოვრები იქნება ამ სოფლებში. უკვე დაუარსებიათ სამრევლო სასწავლებელი, სადაც ბავშვები სომხურ ენაზე იწვრთნებიან; ძველ თაობას, თათრულის გარდა, ჯერ კიდევ სხვა ენა არ ესმის, ამის და მიუხედავათ ტერაბრამიანის მტკიცე სურვილი ყოფილა, რომ ქადაგებაც სომხურათ წარმოსთქვან ერთს ალაგს, კიდეც დაუტუქსავს მოთათრულე მქადაგებელი!..

რაც უნდა ასომხონ, ვატიკანის უკვდავი ძეგლები (საბუთები) საქვეყნოთ ღაღადებენ, რომ ველელები და მათნი ჩამომავალნი წმინდა წყლის ქართველები არიან, რომ ანტიკანონიურია მათი სომხურ ტიპიკონზე მიწერა, რომ ეხლაც იურიდიულათ ქართულ ტიპიკონს ეკუთვნიან; პროპაგანდის თქმისა არ იყოს, „საჭიროებამ იძულებულ ჰყო მიემართათ სომხური ტიპიკონის ძეგლებისათვის...“ პაპის უნებურათ ველელებს არ შეუძლიათ ტიპიკონისა შეცვლა, ეს ნების მიცემა არსად მოსჩანს, პირიქით, რომ ის სასულიერო მართველობა მუდამ „მოწადინებული ყოფილა, რომ ველსა და ახალციხეში განწესებული ყოფილიყვნენ ქართველი მღვდლები ბერძნის ტიპიკონისა (გ. 487.) სომხის ნაციონალისტები გატაცებულნი რომ არ იყვნენ ეროვნული შოვინიზმით, თვითონვე უარს იტყოდენ ზემოთ ხსენებულ სოფლებზე... ეს კია ზოგიერთ ჯურის მწყესებს, ერთხელვე რომ გაუტკბებათ სხვათა ცხვრების გაკრეჭვა, მერმე თავის ნებით ხელს ვეღარ აღებინებთ... მაგრამ ესეც ნუ დაავიწყდებათ, რომ „მეტყველ ცხვრებთან“ აქვთ საქმე, და ამისთანა ცხვრებზე თქმულა; „ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა ცხარიაო!..“

11) **კონსტანტინეპოლის ქართული სამრევლო.** თავდადებულმა მამულიშვილმა პეტრე ხარის ჭირაშვილმა გახსნა მონასტერი 1861 წელს; სამი წლის მერმე აკურთხებინა პირველი ქართული ტიპიკონის მღვდელი, ხიზაბავრელი იოსებ მამუკაშვილი; მის სიცოცხლეში სულ ათიოდე მღვდელი ეკურთხა ხსენებულ ტიპიკონზე; გარდა მონასტრის მთავარ ეკლესიისა, სადაც დღევანდლამდე სწირავენ ქართულათ, ორი პატარა სალოცავიც გააშენა კანკელით, ერთი ქართველ მონაზვნებისათვის, იმათსავე მონასტერში, და მეორე პაპასკეპრის უბანში, რომელზედაც მიწერილია სტამბოლის ქართველი კათოლიკობა. საუბედუროთ, ქართველობა ისე დაფანტულია, რომ ფაქტიურად შეუძლებელი ხდება მათი ფერიქოვში თავის მოყრა წირვა-ლოცვისთვის. წელიწადში ერთხელ-კი, სახელდობრ ნინოობას, ყველა ქართველი უსიკვდილოთ თავს მოიყრის ხოლმე ფერიქოვის კოჰწია ტაძარში, სადაც ალტაცებით ესწრობა ქართულს წირვას... უკანასკნელ წლებში, მოხუცებულ მღვდელს ხმიანათ წირვა რომ აღარ შეუძლია, პაპი ტელეგრამით ნებას აძლევს მონასტრის უფროსს ლათინის პატრს, რომ 14 იანვარს ქართულათ სწიროს.

ქართულ-კათოლიკური ეპარქიები.

1) **სამეგრელოში** იხსენება (1642 წ.) სვერელის და დრანდელის ეპარქიები (გვ. 186) იმ დროს სულ ოთხი ხუთი მისიონერი პატრი მოღვაწეობდა, მეგრელთა უმეტესობა კი გაკათოლიკებულა (გვ. 189. 193). „ლათინის ეკლესიის დოგმები“ შეუწყნარებია; თავის ტიპიკონზე დარჩენილა. ზემოთ ხსენებული ორი ეპარქიის გარდა, სხვაც უნდა ყოფილიყო უეჭველათ. წარმოიდგინეთ ღვდლებიც და ის ორი ეპისკოპოსიც ხელ ახლა დანათლულან და კურთხეულან ტრაპიზონის კათოლიკე მიტროპოლიტის კირილეს მიერ (183).

2) **გურიაში** ცნობილია (1667 წ.) სკანითელისა და საკეთელის კათედრები (168). თვითონ გურიელი, მალაქია კათალიკოსიც კი, კათოლიკობდა. (გვ. 183).

3) **იმერეთის ეპარქია.** მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მოწინავე საზოგადოება და რამდენიმე ეპისკოპოსიც გაუკათოლიკებიათ. (236)

4) **თბილისის ეპარქია.** მე-18 საუკუნეში მართველად ჰყავდა ქრისტეფორე ორბელიანი. ამას მღვდლობასვე მიუღია კათოლიკობა; მერმე ადგილობრივ კათოლიკეთა თხოვნით, ეპისკოპოზათ უკურთხნია ანტიოქიის კათოლიკე პატრიარქს, 1636 წელს. 1742 წელს წასულა რომში, რათა გაეთვალისწინებია პაპისთვის თუ რა უბედურებაში იმყოფებოდენ „მისი საბრალო ხელქვეითი კათოლიკეები“: თავადი ორბელიანები ყველა თავიანთი ქვეშევრდომებით (გვ. 353, 746). ამათ გამოუგზავნიათ ქრისტეფორე, რათა ეშუამდგომლა რომის ტახტთან. თუ რა მრავალ რიცხოვანი იყვნენ ხსენებული ქვეშევრდომები, ეს იქიდან შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ, რომ კათოლიკე ორბელიანებს ყოველ წლიურათ 5000 მეომარი გამოჰყავდათ, რაც, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, 50,000 მცხოვრებს ჰგულისხმობს (გვ. 354). მაშ ქრისტეფორეს ქართულ ეპარქიაში სულ ცოტა 50,000 კათოლიკე უნდა ყოფილიყო. ქრისტეფორემ დიდი გავლენა მოახდინა რომის მმართველ წრეებზე; ამის შემდგომ, პაპმა უპირველესი მნიშვნელობა მისცა ქართულ ტიპიკონს, ლათინური კი თითქოს მეორე რიგზე დააყენა; ეს იქიდანაც მოსჩანს, რომ, როდესაც საქართველოდან ერთხმად ითხოვეს აღდგენა თბილისის ლათინის საეპისკოპოსო, კათედრისა, პაპი დიდს უარზე დადგა (464). მაშინ ქრისტეფორეზე დიდს იმედებს ამყარებდენ, მაგრამ ყველაფერი გააქარწყლა 1755 წლის დევნულებამ, ანტონ I-ის წინააღმდეგ რომ ასტეხეს. ამით ვათავებთ ქართულ-კათოლიკურ ტიპიკონის ისტორიას: ჩემი მიზანი იყო, მეჩვენებინა ქართველ საზოგადოებისათვის, რომ ქართული ტიპიკონი უცხო რამედ უნდა ჩაითვალოს ქართველ კათოლიკესათვის: ტიპიკონი იგი მათი წინაპრებისაგან არის შემუშავებულ-გამშვენიერებული; იმ ტიპიკონს აუზდია უდიდესი ქართველი მოღვაწეები; და ტიპიკონი იგი, ესდენ ამაგის დამდები, გამოუსადეგრად მიაჩნდა ქართველ კათოლიკობას!.. დღეს, ქართული ტიპიკონი იმათაც უღებს თავის მადლიან წიაღს და გუნებას: „მიცანით, შვილებო! დამაკვირდით და ჩემში დაინახავთ კათოლიკე მთაწმინდელების ოფლსა; დამაკვირდით და დაინახავთ ქეთევნების წმინდა სისხლსა; დამაკვირდით და დარწმუნდებით, რომ უცხო არ ვარ, არამედ ცოცხალი სახე თქვენი წინაპრებისა: ჩემშია განხორციელებული მათი ცოდნა, მათი სასოება და მათი მრავალსაუკუნოებრივი ტანჯვა-ვაება.“

ჩვენი მტკიცე რწმენაა, ქართული კათოლიკე აღტაცებით მოისმენს მშობლიურ ხმას, გულდადებით გაეცნობა აქნობამდე მისთვის დაფარულ საუნჯეს,—გეცნობა და, თანდათანობით შეეტკბობა მას.

მხედარი.

სალდათთა წარმომადგენლები შევლენ, მაშინ ლენინის მისწრაფებანი უსათუოდ განხორციელდებაო.

არა სოციალისტური პრესა გუჩკოვის წასვლას დიდი სიმწუხარით შეეგება. მოწინააღმდეგე სოციალისტურ პრესის გამარჯვებას დღესასწაულობს. მისი აზრით გუჩკოვის წასვლა ბუნებრივია, ვინაიდან მისი მისწრაფებანი ფართო ხალხის სურვილს ეწინააღმდეგება.

სალდათთა გაზეთი ,,სოლდათ გრაჟდანინი'' ამბობს, რომ რევოლუციონური ჯარი ახალ სამხედრო ხელმძღვანელებს ჰმობს, ისინი ხალხის სამსახურს შესწირავენ თავიანთ კეთილდღეობას.

გერმანეთის საზავო პირობები.

როგორც ქრისტიანიიდან იტყობინებიან ნორვეგიაში მიუღიათ დაწვრილებითი ცნობები გერმანეთის საზავო პირობების შესახებ. გერმანეთის კანცლერს რეიხსტაგში შემდეგი განუცხარებია: პირველ ყოვლისა ევროპის ცენტრალ სახელმწიფოებს აინტერესებთ ხელსაყრელ სტრატეგიულ საზღვრების უზრუნველყოფა. გერმანეთი კონტრიბუციას არ თხოულობს, მაგრამ არც თვით გადიხდის მას ელზასლოტარინგიის დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი მეტია. ბელგეთის სახელმწიფოებრივობა აღსდგება, მხოლოდ გერმანეთის სამხედრო კონტროლის ქვეშ. გერმანეთი მიიღებს რუსეთისაგან კურლიანდიას, კოვნოს და ვილნოს გუბერნიების ნაწილებს, —ამ ნაწილებიდან შესდგება განცალკევებული სახელმწიფო. გალიციის ის ნაწილი, რომელიც ეხლა რუსეთის ჯარს უჭირავს, გადაეცემა რუსეთს. სომხეთი და მესოპოტამია ოსმაელთს უნდა დარჩეს. ცინდაოს გერმანეთი იაპონიას უთმობს.

იაპონიის მუქარა.

რუსეთ-იტალიის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ შჩენკოვმა გამოაქვეყნა იტალიის ელჩის აზრი რუსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

ელჩს სხვათა შორის განუცხადებია, რომ თუ რუსეთი არ აღადგენს თავის ვაჭრობა-მრეწველობას, მოკავშირენი მას მიატოვებენ და იაპონია კი დაიპყრობს ციმბირსო. ეხლა იაპონიის და იტალიის ელჩი უარს ჰყოფენ ამ ცნობას, თვით შჩენკოვი კი გადაჭრით ამტკიცებს ამას და აღნიშნავს, რომ ამ ცნობის გამოქვეყნებით მან თავის მოვალეობა შეასრულა.

საფრანგეთი.

პარიზი, მაისის 1. მცხოვრებნი და პოლიტიკური წრეები დიდ მწუხარებას აცხადებენ გუჩკოვის გადადგომაზე.

შავრაზმელების მანიფესტაცია.

კიევის შავრაზმელებმა 4 მაისს მანიფესტაცია გამართეს. იყო დროშები შემდეგი წარწერით „გაუმარჯოს კონსტიტუციურ მონარქიას''. ზოგიერთ დროშაზე იყო ნიკოლოზ მეორის სურათი. ერთმა გამოსვლამ ხალხი ძლიერ აალელვა, განსაკუთრებით ჯარის კაცები. მანიფესტაცია მალე დაშალეს.

ეროვნული კითხვა

ყაზახების ცენტრალური საბჭო.

დაარსდა ყაზახების ცენტრალური საბჭო, რომლის პროგრამის საფუძველს დემოკრატიული რესპუბლიკა, ყაზანთა ოლქების ავტონომია და შინაგან მმართველობის სათემო საფუძველზე (ვეჩე) აგება შეადგენს.

უკრაინელი პოლკი.

ღენერალი ბრუსილოვი კომპრომისებზე წასულა და ხოდროვიჩისათვის ნება დაურთვია სამბათალიონიანი უკრაინული პოლკის შედგენისა. შიგ შევლენ ყველა ის უკრაინელი ოფიცრები და ჯარის-კაცები, რომელნიც კიევის განმანაწილებელ პუნქტში იმყოფებიან. პოლკის შესადგენად ნება დართულია 500 კაცის დატოვება, ხოლო დანარჩენები დაუყონებლივ ფრონტზე უნდა იქნეს გაგზავნილი.

ბურიატების ავტონომია.

ზაბაიკალის ყრილობაზე ბურიატებმა ეროვნული ავტონომიის შემოღება განაცხადეს, რომელშიც ყაზახების ჯარის გაუქმების შემდეგ ყაზანი-ბურიატებიც შემოვლენ.

ქართველი მეომრები ავტონომიის შესახებ.

კრესტოვი. ჩვენ, ჩრდილოეთის ფრონტის ორი დივიზიის ქართველები — ექიმები, აფიცრები და ჯარის-კაცნი აპრილის 26 ს, შევიკრიბენით და ერთ ხმად დავადგინეთ ჩვენი ხმა იმ მებრძოლთა ხმას შევუერთოთ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას მედგრად მოითხოვენ. გაუმარჯოს თავისუფალ ავტონომიურ საქართველოს.

კრების თავმ. **ოქროშიძე.**

კორიცის რესპუბლიკა.

ათენი, მაისის 1. იანინიდან იტყობინებიან. რომ კორიცის რაიონში ალბანელებმა რესპუბლიკა გამოაცხადეს, ხოლო ბერძნული ენა აღკრძალესო. რესპუბლიკის მესვეურებად 6 ოსმალო და 6 ალბანელი ითვლება.

ებრაელები ფინეთში.

ჰელსინგფორსი. მაისის 1. ამიერიდან ებრაელთა უფლებანიც გათანასწორებულ იქმნა ფინეთის სხვა მცხოვრებთა უფლებასთან ერთად. დადებულ პირობების შემდეგ ებრაელებმა ფიცი წარმოსთქვეს: „ვფიცავთ ღმერთს და მის წმიდა სამართალს!“-ო.

გლეხთა პეტროგრადის ყრილობაზე.

ყრილობა გაიხსნა 30 აპრილს. პირველ დღეს დაესწრო 700 დელეგატი გლეხობის ყურადღებას იპყრობს პეტროგრადში მომხდარი ამბები. წამოყენებულ კითხვების განხილვა გადაიდო, პასუხის მგებელ მთავრობას მოითხოვს. მიწის კითხვა ჯერ არ განუხილავთ.

სიმბირსკი.

ბრძოლის ველზე მყოფმა ოფიცრებმა მემამულემ ასიათასი დესეტინა მამული სასარგებლოდ გლეხებს უფასოდ დაუთმო.

ტამბოვი.

ტამბოვის გლეხობამ დაადგინა თავის ინტერესების დასაცავად გამოსცეს საკუთარი ბეჭვდითი ორგანო.

გლეხობა.

ჩიტა, ბაიკოლს იქით მცხოვრებმა გლეხობამ სასოფლო ყრილობაზე დაადგინა, მოითხოვოს რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და მიწის მშრომელ ელემენტის ხელში გადასვლა.

მინსკი.

მინსკის გუბერნიის გლეხობა წინააღმდეგია ჯერჯერობით ბელორუსეთის ავტონომიის განხორციელებისა. გლეხობა პეტროგრადის ამბებით საგონებელშია ჩავარდნილი და თავის კომისარის ალისინსკის პირით აცხადებს, ორმთავრობა ქვეყნისთვის დამღუპველიაო, სახელმწიფო ერთმა მთავრობამ განაგოსო.

სოფელში მოდის ათასგვარი განკარგულება. ჩვენ არვიცით რომლის მიხედვით ვიმოქმედოთ, ხშირად განკარგულება ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, რაც ჩვენს თვალში რევოლუციურ მთავრობას სახელს უტეხს და ნდობას უკარგავსო.

კალუგა.

კალუგ. ს. მაზრის გლეხებმა მოითხოვეს რომ წოდებრივი თანასწორობა ცხოვრებაში რეალურად განხორციელდეს და თავად-აზნაურობამ ყოველ სასოფლო საქმეში იგეთივე აქტიური მონაწილეობა მიიღოს, როგორსაც იღებს გლეხობა. მიწის კითხვის გადაჭრაზე გლეხობამ უარი განაცხადა და დაადგინა, მცხოვრებთა სავალდებულოდ გამოაცხადოს, რომ მიწები ყველამ დაიმუშავოს.

ქუთაისის ქალაქის სამკითხველო.

ქალაქის სამკითხველო თბილისის ქართული გაზეთებს ღებულობს პირდაპირ ქუთაისის აგენტებიდან და არა ფოშტით, რადგანაც გაზეთები ფოშტით მეორე დღეს მოდის. მიუხედავად ამისა ახალ გაზეთებს ვერ ნახავს ხოლმე მკითხველი სამკითხველოში მე ხშირად მივსულვარ პირველ საათზე ნაშუადღევს, როდესაც სამკითხველო იკეტება და ახალი ნომრები არ მინახავს. არც სატახტო გაზეთების ახალი ნუმრები მოიპოვება: მაგალითად დღეს მოსულ ნუმერს პეტროგრადის გაზეთისას სამკითხველოში, მეოთხე, მეხუთე დღეს ნახავს, ხოლმე მკითხველი. ჩემ კითხვაზე ქართულ გაზეთების შესახებ. მითხრენ დამტარებლებს გაზეთები გვიან მოაქვთ და საღამოთი ვღებულობთო მოაცებს: ნუ თუ სამკითხველოს არ შეუძლია საქმე ისე მოაგვაროს რომ გაზეთებს დილობით ღებულობდეს? გაზეთების დატარება ადრე თავდება და სამკითხველო რატომ რჩება საღამომდის უგაზეთოთ, სწორედ რომ გასაოცარია. მე მგონია პირველად სამკითხველო უნდა ღებულობდეს გაზეთებს, როგორც საზოგადოებრივი დაწესებულება. მაგიდაზე გარდა „Кавказское слово“-სა, Тифлискій листокъ''-ისა და ,,კავკაზ''-ისა მკითხველი სხვა გაზეთს ვერ ნახავს და და მაგიდები ცარიელი რჩება ხოლმე. ამიტომ საჭიროა ქალაქის გამგეობამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას, რომ მკითხველ საზოგადოებას შეძლება მიეცეს იკითხოს ახალი გაზეთები.

„X“

რუსეთი.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მოწოდება გლეხებისადმი.

როგორც ვიცით რუსეთი პურის მხრივ საშინელ კრიზისს განიცდის. ეს კრიზისი ძლიერია განსაკუთრებით ქალაქებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და მიმართა გლეხობას მოწოდებით, რომელშიაც, მიუთითებს რა ქალაქების საშინელ გაჭირვებას, მოსალოდნელ შიმშილს და მით რევოლუციის წინმსვლელობის შეფერხებას, ათავებს:

,,გლეხებო, თქვენი ძმები ქალაქებში და ფრონტზე თქვენგან შველას ელიან. დრო არ იცდის. ყოველი დღე ძვირფასია მოზიდეთ პური წისქვილებში და ქალაქებში.''

სტუდენტების დადგენილება.

ვინაიდგან, პროვინციაში ინტელიგენტური ძალის საგრძნობი ნაკლებობაა, კიევის სტუდენტებმა ყველა უმაღლესი სასწავლებლები, პოლიტეხნიკუმის გარდა, დახურულად გამოაცხადეს.

წყალდიდობის მსხვერპლი.

წყალდიდობამ კრემენჩუგს დიდი ზარალი მიაყენა. 50,000 სული ადამიანი უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩა. ბევრი საქონელი დაიღუპა. 1200 სახლი წყალმა წალეკა. ადამიანის მსხვერპლიც ბლომადაა. ზარალი თითო მაზრისა მილიონ ნახევარს აღემატება.

ტყავეულობა სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის.

დროებითმა მთავრობამ დადგენილება გამოსცა, რომლის ძალითაც ტყავეულობა სახელმწიფოს განკარგულებაში უნდა გადავიდეს.

საგუბერნიო კომისართა ყრილობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გ. ე. ლვოვის თავმჯდომარეობით საგუბერნიო კომისართა ყრილობა შესდგა. დაესწრო 112 გუბერნიის წარმომადგენელი.

,,ცეპელინი''

მუშ. და ჯარ. კაც. საბჭომ პეტროგრადში დეპეში მიიღო ლუგის საბჭოდან, რომ იქ პეტროგრადისაკენ მიმავალი ცეპელინი გადაფრინდა, ეს ღენერალ კორნილოვს ეცნობა, რომელმაც ბრძანება გასცა ფიცხლავ დაედგათ საარტილერიო ბატარეები, დაემზადებიათ საავიაციო პარკები და ქალაქში ღამეობით სანთლები ჩაექროთ

ჩაქოლვა.

ცარიცინში ჯარისკაცთა ბრბომ პოლკოვნიკსა და პოლიციის ბოქაულს სცემა. ზედმეტი ცემისაგან ორივე გარდაიცვალა

,,სატირიკონის'' კონფისკაცია.

ოდესის მუშათა საბჭოს კონფისკაცია უქნია იუმორისტულ ჟურნალ ,,სატირიკონის'' უკანასკნელ ნუმრისათვის, რომელშიც ისეთი კარიკატურა იყო დაბეჭდილი, რომელიც გერმანეთის პროლეტარიატს შეურაცხყოფდა.

უცხოეთი.

პირველი მაისი გერმანეთში.

„ფორვერტს“ სწერს, ჩაგონებამ ნაყოფი გამოიღო. ბერლინის მუშებმა პირველ მაისის გაფიცვაზე უარი სთქვეს. როგორც სჩანს, ასევე იყო საქმე პროვინციაშიც. დანარჩენი გაზეთები, ალბათ დამოუკიდებელ მიზეზების გამო, არაფერს ამბობენ, თუ როგორ ჩატარდა პირველი მაისი, რომელსაც ასეთის შიშით ელოდნენ.

გრენერი და სოციალ დემოკრატების პროცესი

გენერალ გრენერის მოწოდებამ, რომელშიც ის ყველა გაფიცულს მომაძაღლად იხსენებდა, საბიუჯეტო კომისიაში მკაცრი წინააღმდეგობა გამოიწვია სოციალდემოკრატების მხრით.

გრენერმა თავის გასამართლებლად სთქვა, რომ თითქოს მას წაეკითხოს უსახელო წერილი, რომელიც საამუნიციო მუშებს გაფიცვას ურჩევდა.

გერმანელთა აგიტაციის მხილება.

ლონდონიდან უმავთულო ტელეგრაფით იტყობინებიან, რომ გერმანეთის აგენტის რინტელერის აკრთხვით საინტერესო ცნობები გამომჟღავნდა.

ჟურნალისტ მოწმე ჯონ გამონისთვის რინტელენს მოუწოდებია ამერიკის წინააღმდეგ კამპანიის მოწყობა, რადგან ამერიკა საომარ მასალებს აწვდიდა მოკავშირეებს. გამონის ცნობით რიტელეხი ცდილობდა განხეთქილება ჩამოეგდო ამერიკასა, იაპონიასა და მექსიკის შორის

რინტელენი თურმე ქონებრივ დახმარებას უწევდა „ამერიკელ პასიფისტთა ეროვნულ საბჭოს“. ამ საბჭოს 7 წევრი რინტელესავით სამსჯავროს წინაშე სდგას.

ავსტრო--გერმანული პოლიტიკა.

წყალქვეშა ომი დღეს გერმანეთის დედა ბოძია.

საზღვაო მინისტრის კაპელლეს განცხადების შემდეგ, სოციალისტმა ნოსქელემ საბიუჯეტო კომისიაში განაცხადა რომ წყალქვეშა ომის შესუსტების შესახებ სიტყვის დაძრა დღეს ყოვლად შეუძლებელიაო.

კანცლერის პასუხისგება რეიხსტაგის შესახებ.

კონსტიტუციის გადასასინჯავად დანიშნულმა რეიხსტაგის კომისიამ ყველა ხმის უმეტესობით 4-ის წინააღმდეგ მიიღო კონსერვატორებისა, ცენტრისა, პროგრესიულ პარტიისა და ნაციონალ-ლიბერალების საერთო წინადადება, იმის შესახებ რომ იმპერიის კანცლერი პასუხის მგებელი იყოს რეიხსტაგის წინაშე და შემუშავებულ იქნას კანონი, რომლის ძალით შეიძლებოდეს კანცლერის სამსჯავროში მიცემა.

ლიბკნეხტისა და ადლერის განთავისუფლებას ითხოვენ.

ჰოლანდიის სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიამ ლენინს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც მოითხოვს სტოკჰოლმის, კონფერენციაზე მისულმა რევოლუციონურ-კომუნისტების დელეგატებმა მოითხოვონ ორის ბელადის, ლიბკნეხტისა და ადლერის, განთავისუფლება.

ელჩის თვითმკვლელობა.

თეირანიდან იტყობინებიან, რომ ბახტიარიდან ისფაჰანში მიმავალმა ინგლისის ელჩმა ხარრისმა გზაში თავი მოიკლა. განსვენებული ყველგან დიდის პატივისცემით იყო აღჭურვილი.

მოწერილი ამბები

წერილი ზემოსვანეთიდგან.

სადაც გავიხედავ, თითქმის ყველგან მემის სვანთადმი ვითომდა სიბრალული, როგორც გონებრივად და ქონებრივად ღარიბთადმი. ეს სიბრალული თითქმის ნახევარი საუკუნეა არსებობს, მაგრამ წამალი ვერ გამოუნახავთ, რადგან ვითომდა ვერ გაუგიათ ამ სენის მიზეზი, თუმცა იგი ყველასათვის ცხადი და გასაგები უნდა იყოს.

სვანეთი ბუნებრივად მდიდარია; ჰავა. საუკეთესო აქვს. სვანეთის მკვიდრნი წარმოადგენელ სრულს ტიპს (Совершенный типъ), არიან ნიჭიერნიც, ჯანლონიერნიცა და, როგორც ეს ყველას მოეხსენება, მუყაითნიც, არ ერიდებიან არავითარ საძნელო საქმეს. სვანეთის ჩამორჩენილობა მხოლოდ და მხოლოდ უგზოობითაა გამოწვეული. მიეცით სვანეთს გზა, მიეცით ფოსტა და) სვენეთის ინტელიგენციას არ მოაკლდება გონებრივი საზრდო, იგი უფრო მუყაითად დროს შესაფერისად და გაგებულად იმუშავებს, ზნეობრივად უფრო ამაღლებული.

— გზავე ჩახდის ადვილ შესაძლებლად ან საშუალო ან რამდენიმე დაბალი სასწავლებლის გახსნას. გაუხსენით სვანებს ასეთი სასწავლებლები და ისინი დიდის სიხარულით აღზრდიან თავის შვილებს თავის პურ-მარილით. მიეცით სვანებს გზა და შემოზიდვა გაზიდვის საშუალება და ისინი. ქვეიდგან გამოაძვრენენ თავის სარჩოს.

გაიყვანეთ გზა სვანეთისაკენ და მაისმა დნეულობას, რომლითაც იგი მდიდარია, ყურადღება მიაქცევა და მისი დამუშავების დაწყებით სვანს, რომლის ხელობაც მხოლოდ მიწის თხრილაა, საქმე ძალცემა, ქონებრივად წელს გაიმართავს და მაშინ ივი დიდის სიხარულით შემართება ფართე კულტურისაკენ.

ეს გარემოება ყველასათვის ცხადი იყო, მაგრამ [illegible] მთავრობის დროს, დღეს ძველი წეს წყობილება აღარ არის, უმართლო ძალთაგან ქვესკნელს დასამარებული სამართლიანობა) (სიმართლე) მკვდრეთით აღსდგა ვხედავთ, რომ დგება ხალხის თვითმართველობა. დღეს სიმართლის თქმისა და მოთხოვნისათვის აღარავის აშინებს არც სახრჩობელა, არც ამურის გზები. და არც საპყრობილეთა ბნელი, ნესტიანი კედლები. ამ პირობებში ყოველი ქართველის ზნეობრივი ვალია პირველ შემთხვევისთანავე, თუ კი მას აინტერესებს ხალხის კეთილდღეობა, ხმა მაღლა მოითხოვოს სვანეთისათვის გზა და სასწავლებლები.

აქ, მართალია დაწყებითი სკოლები ყოველ სოფელშია, მაგრამ ამ პირობებში იმდენს ვერას აძლევენ ეს სკოლები ხალხს, რომ მისი მდგომარეობა რამდენადმე გააუმჯობესონ.

ანდრია ფალიანი.

რედაქტორ გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

ექიმები:

ვ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვების და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხვგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.

რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	8 ს.	წ.
„	— საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 40	„
„	— ღამის —	1 ს.	„
ფოთიდან	— დილის —	10 ს. 26	“
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს. 50	„
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	11 ს. —	„
„	— ღამის	—11 ს. 34	„
ბათომისაკენ	— საღამოს —	7 ს. 5	„
„	— დილის —	7 ს.	„
ფოთისაკენ	— დღისით —	4 ს.	„
ტყიბულისაკენ	— დილის —	8 ს. 40	„
ხაშურისაკენ	— დღით —	5 ს. 20	„

ადამიანის სიცოცხლე დაზღაბუნებულია

ათაშანგით (სიფილისი) რომელიც ყოველთვის განიკურნება გაუმჯობესებულ შვეიცარული

პრეპარატით **იოდოლსტარინით** —

პრეპარატი იოდოლსტარინი სპეციალისტმა ექიმებმა საუკეთესო საშუალებათ სცნეს ათაშანგის მოსარჩენად სახლში.

მთელი კურსი ღირს 32 მან. ნახევარი კურსი—16 მან., მეოთხედი—9 მან. პრეპარატი ეგზავნებათ 5 მან. ბეს მიღებისათვის უნდა მიმართოთ მხოლოდ ამ მისამართით: **Тифлисское отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторія Лорис—Меликовская ул. № 16**